DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ?

Business Forum-**ის პირველი ნაწილის წარმატებით ჩატარების შემდეგ**, სიხარულით გიწვევთ ფორუმის **მეორე ნაწილზე**.

თარიღი: 24 ნოემბერი 2026, სამშაბათი
ადგილი: Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace
დრო: 12:00

ბიზნეს ფორუმი ჩვენს წევრებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს, მიიღონ ახალი ხედვები და უშუალოდ გაცვალონ მოსაზრებები ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებთან.

რას უნდა ელოდოთ?

კვლევის გაგრძელება და პანელური დისკუსია:
საქართველოს ეკონომიკური მომავლის შესახებ კვლევა, რომელიც წინა ბიზნეს ფორუმზე წარვადგინეთ, გრძელდება. ამჯერად გაგაცნობთ დამატებით მიგნებებს, განვითარებებსა და პერსპექტივებს. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება პანელური დისკუსია.

სიახლეები გერმანიის საელჩოდან: გაეცნობით გერმანიის საელჩოს აქტუალურ სიახლეებს და მიიღებთ ინფორმაციას საელჩოს მიმდინარე პროექტებისა და საქმიანობის შესახებ.

აქტუალური ეკონომიკური საკითხები:
მიიღეთ ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ, რომლებიც გერმანულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანია.

ღია დისკუსია:
დასვით თქვენთვის საინტერესო კითხვები და გაეცანით გერმანულ-ქართული ბიზნესსაზოგადოების წარმომადგენლების განსხვავებულ მოსაზრებებსა და ხედვებს.

პირდაპირი კომუნიკაცია:
დაამყარეთ ახალი საქმიანი კონტაქტები და გააძლიერეთ არსებული ურთიერთობები.

დამატებით ინფორმაციას მალე გაგიზიარებთ.

მოინიშნეთ თარიღი კალენდარში. მოხარული ვიქნებით თქვენი მონაწილეობით და საინტერესო შეხვედრით!

დარეგისტრირდით



18 ნოემბერი 2026
არაფორმალური ნეთვორქინგ შეხვედრა — Wirtschaftsstammtisch

24 ნოემბერი 2026 | Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace
Business Forum

25.26.27. ნოემბერი 2026 | Holiday Inn Tbilisi
სემინარი — ISO **და ხარისხის მართვის ტრენინგი**

3 დეკემბერი 2026
სემინარი — დროის მართვა

15 დეკემბერი 2026
საშობაო წვეულება

ჩატარებული ღონისძიებები













2026 წლის ოქტომბერში DWV-მ შემდეგი ღონისძიებები გამართა:

Business Forum
სემინარი - ISO **და ხარისხის მართვის ტრენინგი**
Wirtschaftsstammtisch

შეთავაზებები ჩვენი წევრებისთვის



წევრების სიახლეები

იმედი L

იმედი L-მა პარტნიორის სტატუსით მიიღო მონაწილეობა Unlimited Summit-ში, რომელიც 24-25 ოქტომბერს Expo Georgia-ში გაიმართა. ორდღიანმა ღონისძიებამ 7 000-მდე მონაწილე, 120 სპიკერი და 80-მდე კომპანია გააერთიანა. კომპანიის სტენდზე სტუმრებს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ.

პრო კრედიტ ბანკი

პროკრედიტ ბანკმა Helvetas Eastern Europe-თან ერთად, Reconomy-ის პროექტის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის ვორკშოპი „მწვანე ტრანზიცია პრაქტიკაში“ გამართა. განხილვის თემა იყო, როგორ ეხმარება ენერგოეფექტურობა ბიზნესს ხარჯების შემცირებასა და ევროკავშირის ბაზარზე გასვლისთვის მომზადებაში. ბანკმა ასევე წარადგინა ახალი ინიციატივა: 5 შერჩეულ კომპანიას უფასოდ ჩაუტარდება ენერგოაუდიტი და შეუმუშავდება საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა.

ნექსია

European Business Association Georgia-მ სასტუმრო „ვინდემ გრანდ თბილისში“ კვლევები „European Business Presence in Georgia 2026“ და „EBA Members Business Outlook 2026“ წარადგინა. პანელურ დისკუსიაში სპიკერად Nexia Georgia-ს მმართველი პარტნიორი, გელა მღებრიშვილი მონაწილეობდა. განხილული თემები იყო კონკურენტუნარიანობა, საინვესტიციო გარემო, პროგნოზირებადი რეგულაციები, კვალიფიციური კადრები, AI და ევროპულ ბაზრებთან ეკონომიკური ინტეგრაცია.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

საინტერესო ამბები ეკონომიკიდან

საერთაშორისო ფინანსური სამიტი თბილისში

27-28 ოქტომბერს თბილისში მეორედ გაიმართა საერთაშორისო ფინანსური სამიტი, რომელმაც 60-ზე მეტი ქვეყნის ცენტრალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინტექ ინდუსტრიის წარმომადგენლები გააერთიანა. მთავარი თემა რეგიონული ეკონომიკური და ფინანსური კორიდორების განვითარება იყო. განხილული საკითხები მოიცავდა ფინანსურ სტაბილურობას, ციფრულ აქტივებს, გადახდების მომავალს, ხელოვნურ ინტელექტსა და კიბერუსაფრთხოებას. სამიტის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სინგაპურში დაფუძნებული GFTN.

საქართველო და TRACECA: **სამომავლო თანამშრომლობა**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეხვედრა გაიმართა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) პროგრამის ახალ გენერალურ მდივანთან, ჟასურბეკ ჩორიევთან. მხარეებმა განიხილეს საქართველოს მონაწილეობა პროგრამაში და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დერეფნის ციფრულ ტრანსფორმაციას, რეგიონულ დაკავშირებადობას და შუა დერეფნის განვითარებას.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ ქვემოთ მითითებულ ბმულს.

unsubscribe